პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, გაერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის. თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 1948 წ. № 174 (8218). ფასი 20 კაპ.

გუშინ, 31 აგვისტოს, დღის 3 საათსა და 55 წუთზე გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უდიდესი მწუხარებით აუწყებენ პარტიას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომ 31 აგვისტოს დღის 3 საათსა და 55 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

გარდაცვალება ამხანაგ ა. ა. ჟდანოვისა, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმის დიადი საქმისადმი სამსახურს შესწირა, უდიდესი დანაკლისია პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

ამხანაგ ჟდანოვის სახით პარტიამ დაკარგა მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნაკიერესი პროპაგანდისტი, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უღირსებულ თვალსაჩინო მშენებელი.

დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ და თანამებრძოლმა ამხანაგმა ჟდანოვმა საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ თავის მგზნებარე მოღვაწეობით, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულებით პარტიისა და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის მხურვალე სიყვარული დაიმსახურა.

ცხოვრება ამხანაგ ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვისა, რომელმაც მთელი თავისი მგზნებარე ენერგია კომუნიზმის მშენებლობის საქმეს მოახმარა, მაგალითი იქნება ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს ყველა მშრომელისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიულ ორგანიზაციებს და საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, რომ 31 აგვისტოს დღის 3 საათსა და 55 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი, ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უღირსებულ თვალსაჩინო მშენებელი და თეორეტიკოსი ამხანაგი ა. ა. ჟდანოვი მთელ თავის ძალღონეს ახმარდა კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

თავისი მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელის ცხოვრებით, ბოლშევიკების პარტიისა და დიდი სტალინისადმი თავისი ერთგულებით ამხანაგმა ჟდანოვმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სიყვარული და მადლიერება დაიმსახურა.

საქართველოს მშრომელებში სამუდამოდ დარჩება ხსოვნა ამხანაგ ჟდანოვისა, რომლის ცხოვრების სახელოვანი გზა აღორძოვანებს მთ სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სამედიცინო დასკვნა ამხანაგ ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის ავადმყოფობისა და გარდაცვალების მესახებ

მრავალი წლის განმავლობაში ამხ. ა. ა. ჟდანოვი დაავადებული იყო სისხლის მაღალი წნევით, რაც გაურთულდა მძიმე ატერიოსკლეროზით, განსაკუთრებით გულის მკვნავ სისხლძარღვებში.

უკანასკნელ წლებში მას ჰქონდა გულის ანგინის ხშირი შეტევები, ხოლო შემდეგ დაეწყო გულის ასტმის შეტევები.

სიკვდილი გამოიწვია ავადმყოფობამ, შეცველი გულის დამბლამ, რასაც თან ახლდა ფილტვების მწყავე სიმსივნის მოვლენები.

კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსი
პროფესორი პ. ეგოროვი

სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
პროფესორი ვ. ვინოგრადოვი

სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
პროფესორი ვ. ვასილენკო

სამედიცინო მეცნიერებათა კანდიდატი ა. ფედოროვი

რსფსრ დამსახურებული ექიმი ბ. მაიოროვი

1948 წლის 31 აგვისტო.

ცნობა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გენერალ-პოლკოვნიკ ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის დაკრძალვის მოსაწყობად შექმნილია კომისია ამხანაგებს: გ. მ. პოპოვის (თავმჯდომარე), ა. ა. კუზნეცოვის, ა. ი. გორკინისა და ა. ნ. პოსკრებიშევის შემადგენლობით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გენერალ-პოლკოვნიკ ამხანაგ ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის დაკრძალვის მოსაწყობად კომისიის შემადგენლობა

კუბო ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის ნებისმიერ დასვენებულ იქნება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

განსვენებულ ამხანაგ ა. ა. ჟდანოვთან გამოსათხოვებლად შემსვლელთათვის სვეტებიანი დარბაზი ღია I სექტემბერს საღამოს 6 საათიდან.

ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის დაკრძალვა მოხდება წითელ მოედანზე კრემლის კედელთან ა. წ. 2 სექტემბერს საღამოს 5 საათზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი და საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროსაგან

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, მოწაფისა და მებრძოლი მეგობრის—გენერალ-პოლკოვნიკ ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის გარდაცვალების გამო.

ჭაბუკობის წლებიდან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი დაუღალავად იბრძოდა ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ლენინიზმის გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგი ა. ჟდანოვი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უაღრესად აქტიური მშენებელი და გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო.

ამხანაგმა ა. ჟდანოვმა ბევრი ძალა და ენერგია მოახმარა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ანდრია ალექსანდრეს-ძე, რომელიც სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო საბჭოს წევრი იყო, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათი ძლიერების განვითარებასა და განმტკიცებას.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, როცა ლენინგრადს ფაშისტური საფრთხე დაემუქრა, პარტიამ და მთავრობამ, პირადად ამხანაგმა სტალინმა ამხანაგი ჟდანოვი გაგზავნეს ლენინგრადის დაცვის ხელმძღვანელობისათვის, დანიშნეს იგი ლენინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრად.

ლენინის ქალაქის გმირული დაცვა და ლენინგრადთან ფაშისტთა ურდოების განადგურება განუზომელად დაკავშირებულია ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის — ამ გამარჯვებათა ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის სახელთან.

ამხანაგ ჟდანოვის თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეობა, მისი საბრძოლო დამსახურებანი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე საბჭოთა მთავრობამ ამით აღნიშნა, რომ მიანიჭა მას გენერალ-პოლკოვნიკის წოდება და დაჯილდოვა უმაღლესი სამხედრო ორდენებით: სუვოროვის I ხარისხის ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენითა და წითელი დროშის ორდენით.

საბჭოთა მეომრების გულში მარად იცოცხლებს ნათელი სახე ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვისა, რომელიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ძლიერების განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტრო

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი

31 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელი და მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-პოლკოვნიკი ამხანაგი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი დაიბადა 1896 წლის 26 (14) თებერვალს ქალაქ მარიუპოლში სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ოჯახში. მამამისის ტყვრში გადასვლის შემდეგ, ა. ა. ჟდანოვი თექვსმეტი წლის ბიჭუკი (1912 წელს) ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, მონაწილეობას იღებს ქალაქ ტყვრის (ამჟამად ქალაქ კალინინის) მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში.

ბოლშევიკური პარტიის რიგებში ა. ა. ჟდანოვი 1915 წელს შედის. იგი აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწევა ქალაქ ტყვრის მუშათა რაიონში. ამხანაგი ჟდანოვი მალე პარტიული მუშაკი ხდება. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, არმიაში მობილიზაციით გაწვეული, იგი ბოლშევიკურ პროპაგანდას ეწევა ჯარისკაცებს შორის, მონაწილეობას იღებს ურალში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებასა და ჩატარებაში. სამოქალაქო ომის წლებში ამხანაგი ჟდანოვი მუშაობს პოლიტიკურ განათლებაზე წითელი არმიის ნაწილებში, პარტიულ და საბჭოთა მუშაობას ეწევა ურალსა და ტყვრში. 1922 წლიდან ამხ. ჟდანოვი ტყვრის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეა. 1924-1934 წლებში იგი ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობას ეწევა გორკის მხარეში: მდივანია საკავშირო კ. პ. (ბ) გორკის საგუბერნიო კომიტეტისა და გორკის სამხარეო კომიტეტისა.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ა. ა. ჟდანოვს ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, XVI ყრილობაზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო XVII ყრილობის შემდეგ მას ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

ამხანაგი ჟდანოვი დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწევა. იგი დიდ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებს. მისმა გამოსვლამ საბჭოთა მწერლების კავშირის პირველ ყრილობაზე საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები დასახა.

1934 წლის დეკემბერში, ს. მ. კიროვის ავაზაკური მოკვლის შემდეგ, პარტია ამხანაგ ა. ა. ჟდანოვს სამუშაოდ მგზავნის ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციაში, რომელსაც იგი მეთაურობს 1934-1944 წლების პერიოდში.

ასრულებს რა პარტიის ნებას, ა. ა. ჟდანოვი მისთვის ჩვეული ბოლშევიკური მგზნებარებით აღაფრთოვანებს და რაზმავს ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას ტროცკისტ-ზინოვიეველ თვალმბაკცთა და მოდალატეთა განსადგურებლად და მოსასპობად. კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ლენინგრადის ბოლშევიკებს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის გარშემო.

XVIII ყრილობის წინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხ. ა. ა. ჟდანოვს ავალებს პარტიის საგაზეთო-პროპაგანდისტული მუშაობის ხელმძღვანელობას. იგი აგრეთვე გამოდის პარტიის XVIII ყრილობაზე მოხსენებით პარტიული მშენებლობის საკითხების შესახებ. პარტიის ყოველ დავალებას ა. ა. ჟდანოვი მთელი მონდომებით ასრულებდა. პარტიის XVIII ყრილობის შემდეგ ამხ. ჟდანოვს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად ირჩევენ.

დიდი სამამულო ომის წლებში პარტია და მთავრობა ამხანაგ ა. ა. ჟდანოვს ავალებენ ლენინგრადის დაცვის საქმის ორგანიზაციას. ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის მითითებებს, ლენინგრადის ბოლშევიკები, რომელებსაც ამხანაგი ჟდანოვი მეთაურობდა, ლენინის ქალაქის გმირული დაცვის სული და გული იყვნენ. ლენინგრადის ფრონტზე მუშაობისათვის ამხ. ჟდანოვს მიენიჭა ჯერ გენერალ-ლეიტენანტის, ხოლო შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკის წოდება.

თავისი შესანიშნავი პარტიული და სამხედრო მუშაობისათვის ამხ. ჟდანოვი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, „წითელი დროშის“ ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, როცა პარტია და ხალხი მშვიდობიან მშენებლობას შეუდგნენ, პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებმა. ამხანაგი ჟდანოვი, რომელიც მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნაკიერესი პროპაგანდისტი იყო, გამოდის მთელი რიგი ბრწყინვალე მოხსენებებით ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის საკითხებზე, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

ა. ა. ჟდანოვი საერთაშორისო მუშაობა მოძრაობის ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირველ რიგებში იმყოფებოდა. მისი გამოსვლები ფართოდ არის ცნობილი ყველა ქვეყნის მშრომელთათვის.

დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი ჟდანოვი მგზნებარე ენერგიით იბრძოდა კომუნიზმის საქმისათვის, არასოდეს არ ზოგავდა თავის ძალ-ღონესა და ჯანმრთელობას. მისი მგზნებარე ცხოვრება და მოღვაწეობა პარტიისა და ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია. პარტიისა და ყველა მშრომელის მხურვალე სიყვარული მან დაიმსახურა თავისი უსაზღვრო ერთგულებით ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი, თავისი დიდი პრინციპულობით, რაც არ ითმენდა არავითარ გადახრას პარტიის გენერალური ხაზიდან.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და მებრძოლო ამხანაგო!

ა. ანდრეევი
ლ. ბერია
ნ. ბულგანინი
ნ. ვოზნესენსკი
კ. ვოროშილოვი
ლ. კაგანოვიჩი
ა. კოსიგინი
ა. კუზნეცოვი
ბ. მალენკოვი
ა. მიკოიანი
ვ. მოლოტოვი
ა. კოსტომარეკკო
ბ. პოკოვი
ი. სტალინი
ბ. ხრულევი
ნ. შვერნიკი
ბ. შკირიატოვი

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ მიმდინარე სასწავლო წელს

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. კურორტებზე, პიონერთა ბანაკებში, გამაჯანსაღებელ მოედნებზე დასვენებული მოსწავლეები დღეს სკოლებში მოვიდნენ და შეუდგნენ სწავლას.

ამ ზაფხულს რესპუბლიკის ყველა სკოლაში ფართოდ იყო გაჩაღებული მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში აშენდა სასკოლო შენობები, კაპიტალური და მიმდინარე რემონტი გაუკეთდა ძველ შენობებს, დამზადდა საჭირო მერხები, მაგიდები, დაფები და სხვა სასკოლო ინვენტარი, სკოლები დაკომპლექტდა გამოცდილ პედაგოგთა კადრებით, აღრიცხულ იქნენ სასკოლო ასაკის ბავშვები, გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებას სათავეში ედგნენ პარტიული ორგანიზაციები და საბჭოთა ორგანოები. მზადების საქმეში, სკოლების ხელმძღვანელებთან და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად, ერთსულოვნად იყვნენ ჩაბმული კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, საწარმოები, კოლმეურნეობები, მთელი ხალხი. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მომავალი თაობისათვის სწავლა-აღზრდის საუკეთესო პირობები შეექმნათ. დიდი დახმარება გაუწიეს სკოლებს კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა. ხაშურის რაიონის კოლმეურნეები იყვნენ ამ საქმის ინიციატორები. მათ შეაკეთეს სასკოლო შენობები და ინვენტარი, უზრუნველჰყვეს სკოლები შეშით, გაამშვენიერეს სასკოლო ეზოები. ხაშურელთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობა. გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ნახევარი მილიონი მანეთი დახარჯა სასკოლო შენობის რეკონსტრუქციისათვის. საწარმოებშიც უდიდესი გულისხმიერებით მოეკიდნენ სკოლებისადმი დახმარების საქმეს. ფოთის ნავსადგურმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, ბერიას სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ და მთელმა რიგმა სხვა საწარმოებმა გამოჰყვეს დიდძალი ცემენტი, კირი, ლურსმანი და სხვა მასალები სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შესაკეთებლად.

სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოება და განმტკიცება ხელს უწყობს პედაგოგიურ-სამეცნიერო და იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას, სწავლის ხარისხის ამაღლებას. ამას თვალნათლივ ადასტურებს გასული სასწავლო წლის შედეგები. თუ 1947 წელს მხოლოდ 319 ახალგაზრდამ მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედალი, 1948 წელს მედალოსანთა რიცხვი 720-მდე გაიზარდა. ეს მოწმობს, რომ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მუშაობაში გასულ სასწავლო წელს სერიოზული ნაკლოვანებებიც იყო. მართალია, შარშან ზუსტად აღირიცხნენ სასკოლო ასაკის ბავშვები, მაგრამ ვერ მოხერხდა მათი მთლიანად მოყვანა სკოლებში, მაშასადამე, იყო საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის დარღვევის შემთხვევები. მსგავსი ფაქტები წელს არ უნდა განმეორდეს. სასკოლო ასაკის ბავშვების მარტო აღრიცხვა როდი კმარა, საჭიროა მათი უკლებლივ ჩაბმა სწავლაში.

რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა ნაწილი ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს პედაგოგიური ოსტატობისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, რაც ცუდ გავლენას ახდენს გაკვეთილის ხარისხზე. ამის შედეგი იყო, რომ გასულ წელს ზოგიერთ სკოლაში მეცნიერების ძირითადი საფუძვლების სწავლება მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული პრაქტიკულ ცხოვრებასთან, მოსწავლეები ბუნების ცალკეულ მოვლენებს ეცნობოდნენ მათი ურთიერთკავშირის, წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის გარეშე, არ ჩანდა ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა, სკოლების დირექტორთა და სასწავლო ნაწილის გამგეთა ქმედითი კონტროლი და დახმარება მასწავლებლის მუშაობისადმი.

წელს 1.475 ახალი მასწავლებელი დაიწყებს მუშაობას საშუალო, რვაწლიან და დაწყებით სკოლებში. აქედან ბევრია უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული. ისინი პირველად მიდიან ამ დიდ პასუხსაგებ სამუშაოზე. განათლების ორგანოებმა, სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა მათ ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ ნაყოფიერი მუშაობისათვის, პედაგოგიური დახელოვნებისათვის.

1948-49 სასწავლო წლის მანძილზე საბჭოთა სკოლის თვითეულმა მასწავლებელმა საბრძოლო ამოცანად უნდა დაისახოს მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლა, ბოლშევიკური სულისკვეთებით აღჭურვილი ახალი თაობის აღზრდა, საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით მისი შეიარაღება. საჭიროა სასწავლო საალმზრდელო მუშაობის ყოველ უბანზე, ამ მუშაობის ყოველ წვრილმანში აღმოიფხვრას ფორმალიზმი, მთელი პედაგოგიური გამოცდილება მოხმარდეს ახალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანას. სკოლებმა სასწავლო წლის პირველი დღიდანვე უნდა იბრძოლონ ორწლიანობის წინააღმდეგ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ახალი ამოცანები დადგა საბჭოთა სკოლის წინაშე. 723 ათასი ახალგაზრდა შეუდგა სწავლას, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებას. აღვზარდოთ ისინი საბჭოთა ქვეყნის პატრიოტებად, საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულ მოქალაქეებად, კომუნიზმის მშენებელ, მტკიცე ნებისყოფის მქონე მოწინავე ადამიანებად—ასეთია საბჭოთა პედაგოგის საპატიო ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას მოითხოვენ სკოლის მუშაკებისაგან ჩვენი დიადი სამშობლო, ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი.

ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია უდმურტულ ენაზე

იჟევსკი, 30 აგვისტო. (საქტაგი). უდმურტეთის სახელმწიფო გამომცემლობამ უდმურტულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფია.

ტექსტის თარგმანი და დასაბეჭდად წიგნის მომზადება განახორციელა საკავშირო კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ.

ჭიათურელმა მაღაროელებმა 8 თვის გეგმა შეასრულეს

ჭიათურა, (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 29 აგვისტოსათვის შეასრულა მარგანეცის გამოღების 8 თვის გეგმა. მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ და რვა თვის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს ლენინის, ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

მეცემენტეებმა 9 თვის გეგმა შეასრულეს

კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა ვადამდე ხუთი დღით ადრე 101 პროცენტით შეასრულა პროდუქციის გამოშვების აგვისტოს გეგმა და 27 აგვისტოსათვის უზრუნველჰყო 9 თვის საწარმოო გეგმის განაღდება.

მოპოვებული წარმატებით აღფრთოვანებული ქარხნის კოლექტივი უფრო ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას და იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

ერთი წინადადება 1.065.180 მანეთს ზოგავს

ჭიათურა, (საკ. კორ.). მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებს თავისი ტექნოლოგიური პროცესი აქვთ. არსებული ტექნოლოგიური სქემით, მარგანეცის მადანი გამდიდრების წინ 40-50 მილიმეტრის სიმსხოთ უნდა დაიმსხვრეს. ხანგრძლივი პრაქტიკული დაკვირვებისა და თეორიული შესწავლის საფუძველზე ინჟინერ-გამამდიდრებელი ქ. ჯინჭველაშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მადნის დამსხვრევის მაქსიმალური სიმსხო (დიამეტრი) არ უნდა აღემატებოდეს 20 მილიმეტრს. ამ შემთხვევაში 5-8 პროცენტით იზრდება ნედლეულიდან მადნის ამოკრეფა და უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ამ წინადადების განხორციელება მოითხოვდა გამამდიდრებელ ფაბრიკებში შეცვლილიყო სამსხვრეველი დანადგარები. ისინი მართლაც შეიცვალა 24-ე და 29-ე ფაბრიკებში. აქ დადგეს ეგრეთწოდებული ქირაციულ-კონიური სამსხვრევები, რომლებიც ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში მზადდება.

ტექნოლოგიურ პროცესში ამ ცვლილების შეტანით 24-ე გამამდიდრებელ ფაბრიკაში პირველი ხარისხის პროდუქციის გამოსავალი 8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 29-ე ფაბრიკაში — 4,5 პროცენტით.

ამ ღონისძიების გატარებით მარტო ორმა გამამდიდრებელმა ფაბრიკამ ექვს თვეში 532.592 მანეთის ეკონომია მიიღო, ხოლო წლიურად იგი მოგვცემს 1.065.180 მანეთ დანაზოგს.

ამ წინადადების საწარმოო ეფექტი გაცილებით გაიზრდება, როცა იგი დანარჩენ ფაბრიკებში და განსაკუთრებით ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში დაინერგება.

ამხ. ქ. ჯინჭველაშვილის წინადადების თანაავტორები არიან ინჟინრები შ. ახვლედიანი და ს. ხელიძე.

ხეხილის ტყეები

სტალინირი, (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეთა აქტიური მხარდაჭერით შეიდიოდე წლის წინათ დაიწყო მეტად სასარგებლო საქმე, ტყეებში გარეული ხეხილის დამყნა კულტურული ჯიშის ვაშლისა და მსხლის კალმებით.

პირველ წელსვე ოლქის კოლმეურნეებმა დაამყნეს 15.000 ძირი გარეული ხეხილი. მიღებული ნაყოფი არაფრით ჩამოუვარდება ბაღების ხეხილის ნაყოფს.

წელს დამყნობილი იქნა 17.000 ძირი გარეული ხეხილი.

ახალი სტადიონი

გურჯაანი, (სპეც. კორ.). დაიწყო მუშაობა ახალი სტადიონის ასაგებად, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მუშა-მოსამსახურენი და მახლობელი სოფლების კოლმეურნეები. ყოველ კვირაობით ეწყობა მუშაობა. ამ საშუალებით უკვე დამთავრდა ტრიბუნების მოწყობა, სტადიონის მთლიანად შემოღობვა და საფეხბურთო მოედნის გასწორება. ახალი სტადიონი ათი ათას კაცზე მეტს დაიტევს. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა ამ დღეებში.

საცხოვრებელი ბინები ბარიტის მაღაროს მუშებისათვის

ბარიტის მაღაროების ცენტრში აშენდა კოტეჯის სისტემის სამ-სამოთახიანი ექვსი საცხოვრებელი ბინა. ახალ საცხოვრებელ ბინებში მოთავსებულია მაღაროელთა 12 ოჯახი.

კოტეჯის სისტემის ბინებს აგებენ აგრეთვე მაღაროების ცივწყალას უბანში. მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და უახლოეს ხანში დამთავრდება.

ახალგაზრდა მშენებლები სტუმრად ბელადის სამშობლოში

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდები დიდი მონდომებით სწავლობენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს.

ახლახან შესდგა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მსმენელთა გამოშვება. გამოირკვა, რომ ახალგაზრდებმა ა. კაციამ, დ. ხაზალიამ, გ. საიქოძემ, ბ. ბაქანიძემ და სხვებმა შესანიშნავად შეისწავლეს დიდი ბელადების ბიოგრაფიები.

ქარხნის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით ახალგაზრდობის ჯგუფი ამ დღეებში გაემგზავრა ქალაქ გორში იმ სახლის დასათვალიერებლად, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა სტალინმა.

ახალგაზრდებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მშობლიური სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერებამ.

35 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე

ახალციხე, (საკ. კორ.). სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის საცდელ ნაკვეთზე მეათე წელია მიმდინარეობს ხორბლის ჯიშების გამოცდა. აგრონომ მ. სეირანიანის ხელმძღვანელობით ნაკვეთზე გამოცდილ 40-მდე ჯიშის ხორბლიდან გასავრცელებლად შერჩეულ იქნა „დოლის პური", „უკრაინული № 83", „ყუბანური № 128 და 122" და „კახური დატოტვილი", რომლებიც ადგილობრივ კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუენ. აღნიშნული ჯიშები გვალვას და ყინვას უძლებენ, იტანენ დაავადებას.

წელს ხორბლის ეს ჯიშები დათესილი იყო 22 ჰექტარზე სოფელ ვალეს, ჯულღისა და წყრუთის კოლმეურნეობათა მინდვრებში. „კახური დატოტვილი" ხორბალი დათესილი იყო შემოდგომით ანეულზე. გაზაფხულზე ჩაატარეს კულტივაცია, ნაკვეთი ორჯერ მორწყეს წუნწუხით. პურეული ივლისის შუა რიცხვებში დამწიფდა. მოსავალი აღებულ იქნა და გაილეწა ცალცალკე ნაკვეთების მიხედვით. სოფელ ვალეს კოლმეურნეობამ საცდელი ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე მიიღო 35 ცენტნერი, ხოლო ზოგიერთი ნაკვეთის თვითეულ ჰექტარზე — 40 ცენტნერი ხორბალი.

სტახანოველ მეჩაეთა წარმატება

ტყიბული, (საკ. კორ.). მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს სოფელ სოჩხეთის მეჩაე კოლმეურნეებმა მ. ბეშკენაძემ და ბ. კვირიკაშვილმა. მათ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ მოახდინა მოწინავე მეჩაეთა გამოცდილების განზოგადება.

გალი, (სპეც. კორ.). საუკეთესოდ მოვლილი ჩაის პლანტაციები აქვს გალის რაიონის სოფელ შეშელეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას. აქ გვალვიან ამინდში ჩაის ბუჩქებს ხელოვნურად რწყავდნენ და ამით უზრუნველჰყვეს გეგმის შესრულება. კოლმეურნეები შეუდგნენ გეგმის გადამეტებით ჩაის ფოთლის კრეფას.

კარგად მუშაობენ ამავე რაიონის სოფელ წარჩის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც ი. ჯახაია ხელმძღვანელობს. მათ 15 აგვისტოსათვის შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და ვალდებულება იკისრეს სეზონის ბოლომდე გეგმას 100 პროცენტით გადააჭარბონ.

ახალი საავადმყოფო

ზუგდიდი, (საკ. კორ.). სოფელ ჭაქვინჯში გაიხსნა ახალი საავადმყოფო, რომელიც 25 ავადმყოფს დაიტევს. ახალი საავადმყოფო გრიგოლიშს, ნარაზენს და ჯიხაშკარსაც მოემსახურება.

სწავლის დაწყებას მომზადებული შეხვდნენ

აბაშა, (სპეც. კორ.). ახალი სასწავლო წლისათვის წელს კარგად მოემზადნენ აბაშის რაიონის სკოლები. 15 სკოლას კაპიტალური და 29 სკოლას მიმდინარე რემონტი გაუკეთდა. შეძენილია 274 ცალი მერხი, 95 მაგიდა, 159 დაფა, 301 სკამი. დამზადებულია და მოზიდულია სკოლებში 2.170 კუბური მეტრი შეშა. შეკეთებულ იქნა 2.031 ცალი მერხი, 239 მაგიდა, 237 სკამი, 121 კარადა, 176 დაფა, 177 ღუმელი.

სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად ნაყოფიერი მუშაობა გასწია სოფელ ნაესაკოვოს საშუალო სკოლამ (დირექტორი ქ. კირცხალია). ამავე სოფლის კაგანოვიჩისა და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა სკოლას მოუტანეს 6 კუბური მეტრი შეშა, შეუკეთეს სკამები, მაგიდები და სხვ. კარგი დახმარება აღმოუჩინეს სკოლებს აგრეთვე სოფელ ონტოფოს სტალინისა და ბერიას, სამიქაოს ცხაკაიას და გეზათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

სკოლა-სანატორიუმი

პატარა ცემი, (საკ. კორ.). საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო პატარა ცემში (ბორჯომის რაიონი) აშენებს სამსართულიან შენობას — სკოლა-სანატორიუმს. სკოლა-სანატორიუმს ექნება ცენტრალური გათბობა, განათება, აბანო, კლუბი, რადიოგაყვანილობა, სასადილო, ბიბლიოთეკა, ფიზკულტურისა და სპორტის დარბაზი, სასწავლო-საცდელი კაბინეტები, ლაბორატორიები და სხვა.

მშენებლობა, რომელსაც „საქმშენის" ბორჯომის განყოფილება აწარმოებს, უახლოეს ხანში დამთავრდება.

სოფლის ელექტროფიკაცია

სიღნაღი (საკ. კორ.). სოფელ ნუკრიანში ახლახან დამთავრდა ელექტროხაზის მშენებლობა. ელექტროდენს სოფელი ალაზანჰესიდან იღებს. სოფლის მთავარი გზატკეცილი უკვე განათებულია ილიჩის ნათურებით. ელექტროდენის გამოყენებით მოეწყო წყალსადენის მუშაობაც.

საკოლმეურნეო ბიბლიოთეკები მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას იძენენ

ხაშური, (საკ. კორ.). ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა ამ უკანასკნელ ხანებში 100.000 მანეთის მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო და საბავშვო ლიტერატურა შეიძინეს საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებისათვის.

სოფელ გომის 21 იანვრის სახელობის კოლმეურნეობამ შეიძინა 3.500 მანეთის ლიტერატურა, ოსიაურისამ— 3.600 მანეთის, ქვემო ოსიაურის — 2.000 მანეთის, დიდი სატივის—1.500 მანეთის, აგარების — 500 მანეთის და ა. შ.

მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიაღმასკომის კულტურულ - საგანმანათლებლო განყოფილებამ ამ მოკლე ხანში 8.000 მანეთის ლიტერატურა შეიძინა.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ქუთაისი. მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების განყოფილებამ შეიძინა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა — 17.767 წიგნი. ლიტერატურა უკვე დაურიგდა რაიონის საკლუბო დაწესებულებებსა და სოფლის ბიბლიოთეკებს.

სოხუმი. სოხუმის ბავშვთა საქალაქო ბიბლიოთეკა ბავშვთა ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 3.500-ზე მეტი წიგნისგან შესდგება. აქ ყოველდღე მოდიან ქალაქის ახალგაზრდები, კითხულობენ და სწავლობენ ჩვენს კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურას.

გამოფენა თემაზე—„მიჩურინის მოძღვრება მეცნიერული ბიოლოგიის საფუძველია"

გორი, (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პარტიულ კაბინეტში მოეწყო გამოფენა თემაზე „მიჩურინის მოძღვრება მეცნიერული ბიოლოგიის საფუძველია".

ლამაზად გაფორმებულ სტენდზე გამოფენილია ცენტრალური გაზეთების ნომრები, რომლებშიაც გამოქვეყნდა აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენება „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში", აგრეთვე გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატიები: „მარქსისტულ-ლენინური თეორიის ყოვლისშემძლე ძალა", „ჩვენი მეცნიერების აყვავებისათვის!", გაზეთ „კომუნისტის" მოწინავე წერილი „დიდმნიშვნელოვანი მასალები მარქსიზმ-ლენინიზმის დაფუძნებისათვის".

ქალაქ გორის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ვ. ძველაიამ აღნიშნული გამოფენა შეავსო დარვინის ცნობილი ნაშრომით „სახეთა წარმოშობა", რომელიც აქ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. სტენდზე არის სქელტანიანი წიგნის პირველი ტომი „საქართველოს ხილი". პარტიული კაბინეტის გამგე ამხ. ვ. იარდალაშვილი განაგრძობს მუშაობას, რათა გამოფენა შეავსოს ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის ნაშრომთა ომამდე დაბეჭდილი პირველი გამოცემებით, აგრეთვე ჩვენი სამშობლოს ბუნებისმეტყველების სწორუპოვარი წარმომადგენლების: სეჩენოვის, პავლოვის, მეჩნიკოვის, ტიმირიაზევის, დოკუჩაევის, ვილიამსის საინტერესო ნაშრომებით.

პარტიული კაბინეტის სექტემბრის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების მოწყობა საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების მიღწევებზე. ამ გეგმის მიხედვით გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი დოცენტი სიმონ ხოჯევანიშვილი ამზადებს ლექციას „მიჩურინის მოძღვრების ძირითადი პრინციპები". ამ ლექციას, რომელიც 17 სექტემბერს შესდგება, პარტიულ აქტივთან ერთად მოისმენენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. გორის სასელექციო-საცდელი სადგურის მეცნიერი მუშაკი ამხ. ერისთავი ამ სადგურის მუშა-მოსამსახურეთათვის ამზადებს მოხსენებას ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის აგვისტოს სესიის შედეგების შესახებ.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, 1948 წლის 28 აგვისტოს, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. წელს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 8.824 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. ჩაბარებულია 8.624 ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე შარშან. ხორბლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 154 პროცენტით, ჭვავისა 120 პროცენტით. სულ სასურსათო კულტურები—ხორბალი და ჭვავი ჩაბარებულია მთელი დამზადებული პურის 94 პროცენტი.

როსტოველ და კრასნოდარელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით ჩააბარონ სულ მცირე 2 მილიონი ფუთი პური. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ეს ვალდებულებაც ღირსეულად იქნება შესრულებული.

უკრაინის კ. პ. (ბ) ხარკოვის საოლქო კომიტეტის მდივანი ბ. კოვალი

მშრომელთა დეპუტატების ხარკოვის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ვოლოშინი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ხარკოვის ოლქში ი. ზაგოვორა

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ფ. კოზირევი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოხარული ვართ მოგახსენოთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ გროდნოს ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 183 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან.

გროდნოს ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით სულ მცირე 120 ათასი ფუთი პური.

ბელორუსიის კ. პ. (ბ) გროდნოს საოლქო კომიტეტის მდივანი პ. კალინინი

მშრომელთა დეპუტატების გროდნოს საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ლიახოვი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული თ. სედენკო

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ზ. პაზუხინი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ კალინინგრადის ოლქმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა ერთნახევარჯერ უფრო მეტი პური, ვიდრე 1947 წელს. სასურსათო კულტურების ჩაბარების გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს ვალდებულება ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით სულ მცირე 200 ათასი ფუთი პური. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ კალინინგრადის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელნი ამ ვალდებულებასაც ღირსეულად შეასრულებენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) კალინინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. შჩერბაკოვი

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ეგოროვი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული კალინინგრადის ოლქში ნ. გოროხოვი

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ა. სტრომსკი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

სიხარულით მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე, 1948 წლის 26 აგვისტოს, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 25.685 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან. ხორბლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით, დამზადებულია 24.847 ათასი ფუთით მეტი ხორბალი, ვიდრე 1947 წელს. სასურსათო კულტურები, ხორბალი და ჭვავი ჩაბარებულია მთელი დამზადებული პურის 94 პროცენტი. წელს ჩაბარებულია 1.800 ათასი ფუთით მეტი პური, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ზაპოროჟიეს ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს დონისა და ყუბანის მიწის მუშაკთა გამოწვევა და ვალდებულება იკისრეს სულ ცოტა 2.500 ათასი ფუთი პური ჩააბარონ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით.

უკრაინის კ. პ. (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მდივანი ზ. ენიუტინი

მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პონომარენკო

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული პ. თათევოსიანი

სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ზ. ბონდარენკო

მთლიანად გამოვიყენოთ მრეწველობის რეზერვები

სოციალისტური დაგროვების გასადიდებლად

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული ინიციატივის პასუხად

მოსკოვის 35 მოწინავე საწარმოს კოლექტივის წერილმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ სტალინისადმი იმის შესახებ, რომ მათ, შეისწავლეს რა მათს განკარგულებაში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი პროდუქციის თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირების მისაღწევად, გადასწყვიტეს 1948 წელს სოციალისტური დაგროვების გეგმის გადამეტებით მოგვცენ კიდევ 172 მილიონი მანეთის დაგროვება, თბილისის საწარმოთა კოლექტივებში საყოველთაო ინტერესი და შრომითი ენთუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია.

თბილისის მთელ რიგ დიდ საწარმოებში გუშინვე შეუდგნენ წინათ აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას, ადგილობრივი რესურსების გამოვლინებას და იმ შესაძლებლობათა შესწავლას, რაც მათ საშუალებას მისცემს კიდევ უფრო შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, უფრო მტკიცედ განახორციელონ მომჭირნეობის რეჟიმი, შეამცირონ ნედლეულისა და დამხმარე მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები, დანერგონ სამეურნეო ანგარიში და მოგვცენ მეტი დაგროვება, მიაღწიონ რენტაბელობას.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებას და პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების შესაძლებლობათა შესწავლას შეუდგნენ ცალკე საამქროების, ბრიგადების, სამუშაო უბნებისა და ცვლების მიხედვით, აგრეთვე ინდივიდუალურად.

ამ მუშაობაში ფართოდ არიან ჩაბმული რაციონალიზატორი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, სამეურნეო ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავე ადამიანები.

მანქანათმშენებლებს მეტის მოცემა შეუძლიათ

საფეიქრო მანქანებზე, საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურთა ტურბინებზე, ტრანსპორტერებსა და მცირე მექანიზაციის მოწყობილობაზე სახალხო მეურნეობა მზარდ მოთხოვნილებებს აყენებს. ამ მოთხოვნილებათა შესაბამისად მუშაობენ ჩვენი მანქანათმშენებელი ქარხნები და მათ შორის თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაც.

ეს ქარხანა ერთ-ერთი ის მოწინავე საწარმოა, რომელმაც დიდი ხანია უარი სთქვა სახელმწიფო დოტაციაზე. წელს ამ ქარხნის კოლექტივმა იკისრა სახელმწიფოს მისცეს 4.000.000 მანეთი წმინდა დაგროვება.

აქვთ თუ არა მანქანათმშენებლებს იმის შესაძლებლობა, რომ ეს ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულონ და სახელმწიფოს მეტი დაგროვება მისცენ? უსათუოდ აქვთ.

ამას მოწმობს ის, რომ განვლილ 7 თვეში ქარხანამ 189.800 მანეთის ზეგეგმითი დაგროვება მოგვცა, ე. ი. 2.667.000 მანეთის ნაცვლად დაგროვებამ 2.856.800 მანეთი შეადგინა.

ეჭვი არ არის, ეს თანხა კიდევ მეტი იქნებოდა, ადრე რომ შევდგომოდით მუშაობას და საამქროები სამეურნეო ანგარიშზე გადაგვეყვანა, უფრო მტკიცედ ჩაგვეჭიდა ხელი ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის და პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის, დაგვერაზმა ჩვენი რაციონალიზატორები.

ახლა ჩვენი ქარხნის ხელმძღვანელობა შეუდგა ღონისძიებათა დამუშავებას იმისათვის, რომ აღკვეთილ იქნას საბჭოთა მანეთის უნაყოფო ხარჯვის ყველა შესაძლებლობა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ნედლეულის (ლითონის) და საწვავის ხარჯვის საკითხებს.

მოსკოვის 35 მოწინავე საწარმოს მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენს ქარხანას ძალუძს წელს ქვეყანას მისცეს მეტი დაგროვება, ვიდრე დაპირებული ვიყავით, და ამ მხრივაც საქართველოს მანქანათმშენებელთა ჩვენი მოწინავე კოლექტივი არ ჩამორჩება მოსკოველ თანამოძმეებს.

გ. სტურუა

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი

მომჭირნეობის ძალა

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი — საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთი დიდი საწარმო, ქვეყანას ყოველწლიურად მრავალი ათეული მილიონი მანეთის ძვირფას პროდუქციას აძლევს, მაგრამ ამასთანავე ეს კომბინატი სახელმწიფოსაგან რამდენიმე მილიონ მანეთს დოტაციას იღებს.

წელს ჩვენ ვიკისრეთ შეგვემცირებინა სახელმწიფო დოტაციის თანხა და მიგვეღწია იმისათვის, რომ წლის ბოლომდე სამშობლოსათვის მიგვეცა 2 მილიონი მანეთი ეკონომია, ე. ი. სადოტაციო თანხა სულ ცოტა 2.000.000 მანეთით შეგვემცირებინა.

აგვისტოს დასაწყისში განვლილი შვიდი თვის მუშაობის შედეგთა შეჯამებისას აღმოჩნდა:

ჩვენი ვალდებულება, რომ წლის განმავლობაში სამშობლოსათვის მიგვეცა 2.000.000 მანეთის ეკონომია, შვიდი თვის შემდეგ გადაჭარბებით გვქონდა შესრულებული. ჩვენ უკვე გავწიეთ 2.110.000 მანეთის ეკონომია.

ეს შედეგი იმაზე მიგვითითებს, რომ თუ კიდევ უფრო გულდასმით შევისწავლით წარმოების ეგრეთ წოდებულ „ფარულ" რეზერვებს, უფრო უნარიანად გამოვიყენებთ არსებულ შესაძლებლობებს, შევძლებთ წლის ბოლომდე სამშობლოს საგრძნობი თანხის ეკონომია მივცეთ და მოვამზადოთ ნიადაგი ახალი სამეურნეო წლიდან სახელმწიფო დოტაციაზე უარის სათქმელად.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელებას ჩვენი კომბინატის ცალკე საწარმოებში დიდად გვიადვილებს ზოგიერთი საამქროს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ სასტიკი მომჭირნეობის გაწევით სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან დაზგებზე მომუშავენიც და მათი ხელმძღვანელებიც, წარმოების მეთაურები.

ი. ნეფარიძე

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პარტბიუროს მდივანი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

ამ დღეებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა საკითხი დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ამოცანების შესახებ 1948-49 სასწავლო წელს. კოლეგიამ დაუსახა სკოლებს პრაქტიკული ღონისძიებანი მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ წერილით მიმართა სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებს და დაავალა მათ: მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლაში დაუქვემდებარონ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს; სწავლება სკოლაში იმგვარად წარმართონ, რომ საგნის კურსის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებასთან ერთად მოსწავლეებში აღზარდონ საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობები, სოციალისტური სამშობლოსა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო თავდადების სულისკვეთება; ცალკე საგნების სწავლებისას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში ადამიანთა საზოგადოებისა და ბუნების მოვლენების შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისის გამომუშავებას; იდეური აღზრდა მჭიდროდ დაუკავშირონ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრის ამოცანებს და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის კონკრეტული საკითხები სისტემატურად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, მეთოდურ თათბირებზე და საგნობრივ კომისიებში.

ამასთანავე სკოლებს დაევალათ გააუმჯობესონ დედაენისა და ლიტერატურის სწავლება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რუსული ენის სწავლებას, უკეთესად მოაწყონ სკოლებში სადემონსტრაციო, ექსპერიმენტული და პრაქტიკული მუშაობა, ბუნებისმეტყველების სწავლებას საფუძვლად დაუდონ ბუნების დიადი გარდამქმნელის მიჩურინის მოძღვრება, ჩაუნერგონ მოსწავლეებს, რომ მიჩურინის მოძღვრება ახალი, უმაღლესი ეტაპია მატერიალისტური ბიოლოგიის განვითარებაში, რომ იგი არა მარტო იძლევა ორგანული სამყაროს მეცნიერულ ახსნას, არამედ აიარაღებს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ქმედითი მეთოდებით მცენარეთა და ცხოველთა არსებული ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყვანისათვის ბრძოლაში.

განათლების ორგანოებსა და სკოლების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ მტკიცედ დაიცვან სკოლებისათვის დაწესებული რეჟიმი და შინაგანაწესი, ყოველდღიურად იბრძოლონ „მოსწავლეთა წესების" გატარებისათვის და არსებითად გარდაქმნან კლასის ხელმძღვანელების მუშაობა, ქმედითი დახმარება გაუწიონ კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს, მიაღწიონ იმას, რომ აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებაში ეს ორგანიზაციები სკოლის დირექციასა და მასწავლებლებს რეალურ დახმარებას უწევდნენ.

წერილში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებასა და მეორეწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. სკოლებს ევალებათ გადამჭრელი ზომები მიიღონ და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მეშვეობით უზრუნველჰყონ სკოლის ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმა სწავლებაში. მათვე ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს და უზრუნველჰყონ მეორეწლიანობისა და ჩამორჩენილობის მინიმუმამდე შემცირება.

ჩვენ გვწერენ

პირობას არ ასრულებენ

სამი თვის წინათ გორის სარაიონო კულტურის სახლის და კულტურისა და დასვენების პარკის დირექციამ არტელ „გორმშენთან" ხელშეკრულება დასდო 180.000 მანეთის სარემონტო სამუშაოთა ჩასატარებლად.

კულტურის სახლის დირექციამ დროულად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, „გორმშენს" გადაურიცხა 70.000 მანეთი, მისცა საშენი მასალაც.

„გორმშენს" პარკის კეთილმოწყობის სამუშაოები 15 ივნისამდე უნდა დაემთავრებინა, მაგრამ პირობა ჯერაც არ არის შესრულებული.

უარეს მდგომარეობაშია კულტურის სახლის შენობა. „გორმშენმა" აქ 15 სექტემბრამდე 130.000 მანეთის ღირებულების სარემონტო სამუშაოები უნდა შეასრულოს, მაგრამ ჯერჯერობით არც ეს დაუწყია.

არტელ „გორმშენის" თავმჯდომარე ამხ. გ. დემუროვი მუდამ გვპირდება, „ნუ ღელავთ ამხანაგებო! რემონტს ხვალიდან დავიწყებთო", მაგრამ დღეები გადის, დაპირება კი დაპირებად რჩება.

როდის იგრძნობენ მიცემული დავალების შესრულებისათვის პასუხისმგებლობას არტელ „გორმშენის" მუშაკები?

ი. ვარძელაშვილი

გორის რაიონული კულტურის სახლის დირექტორი

გეგმით ითვალისწინებენ. მაგრამ შემდეგ არ კეთდება

ბესიკის ქუჩაზე მდებარე № 19 სახლი საავარიო მდგომარეობაშია. ამ სახლის საძირკვლის დაზიანებისა და მისი დაწევის შედეგად შენობის წინა კედელი მთლიანად დამსკდარი და დაცილებულია სხვა კედლებს.

ამის შესახებ შარშან მივმართეთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს და სათანადო ზომების მიღება ვთხოვეთ. გამოიყო რამდენიმე კომისია, რომლებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შენობა ავარიულია და სასწრაფო შეკეთება სჭირდება.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ხარჯთაღრიცხვაც შეადგინეს, რემონტი გაითვალისწინეს მეორე კვარტალში, შემდეგ გადაიტანეს მესამე კვარტალში, ამჟამად კი სრულიად მიივიწყეს.

ამ შენობის ასეთ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლება, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელია ავარია.

საინტერესოა ვიცოდეთ, რას ფიქრობს ქალაქის საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო?

მობინადრეები: ლაზრიევი, წიკლაური, ბებიაშვილი, თადუმაძე.

მარშალ პ. ს. რიბალკოს დაკრძალვა

მოსკოვის მშრომელებმა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებმა 30 აგვისტოს უკანასკნელ გზაზე გააცილეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საბჭოთა არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელი — ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი პავლე სიმონის-ძე რიბალკო.

დილის 10 საათიდან კვლავ გაიღო წითელი არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვანი დარბაზის კარი მიცვალებულთან გამოსათხოვებლად. ათიათასობით ადამიანმა, ისე როგორც წინა დღით, უწყვეტ მწკრივად გაიარა სტალინური სკოლის ერთ-ერთი შესანიშნავი სარდლის პ. ს. რიბალკოს ნეშტის წინ. ღრმა მდუმარებით გაიარეს სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანებმა. გაიარეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა და ახალგაზრდა მეომრებმა — ტანკისტებმა, მსროლელებმა, არტილერისტებმა, ავიატორებმა, მეზღვაურებმა, პოლიტმუშაკებმა, სამხედრო ინჟინრებმა, მესანგრეებმა, მეკავშირეებმა — სახელოვანი საბჭოთა იარაღის ყველა გვარეობის წარმომადგენლებმა.

მარშალ პ. ს. რიბალკოს კუბო დადგმულია ყვავილებსა და მწვანეში. მრავალია გვირგვინი: საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ ნ. ა. ბულგანინისაგან, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისაგან, საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ჯარისკაცების, სერჟანტების, ოფიცრებისა და გენერლებისაგან, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარი პოლიტიკური სამმართველოსაგან, სსრ კავშირის სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლებისა და მთავარი შტაბებისაგან, მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლისა და ჯარებისაგან.

დარბაზში გვირგვინები შემოაქვთ ფაბრიკებისა და ქარხნების დელეგაციებს. კუბოს გვირგვინებით ამკობენ სტალინის სახელობის ავტოქარხნის, მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მუშები, სამხედრო აკადემიების მსმენელები, სამხედრო სასწავლებლების, სამინისტროების, დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

შემოდის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაცია ელჩის ბ-ნ ლაშტოვიჩკას მეთაურობით. დელეგაცია კუბოს ამკობს გვირგვინებით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისაგან ჩეხოსლოვაკიის არმიისა და პრაღის მოსახლეობისაგან. უნგრეთის არმიისაგან გვირგვინით მიცვალებულის კუბო შეამკო უნგრეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა დეკე ნემეტმა.

საპატიო ყარაულში დგანან ორგზის საბჭოთა კავშირის გმირები იაკუბოვსკი, ფომიჩევი, არხიპოვი, ლელიუშენკო და დრაგუნსკი, სოციალისტური შრომის გმირები კოტინი და მაქსარევი, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები, სამხედრო აკადემიების მსმენელები, კურსანტები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

15 საათის საპატიო ყარაულში დგებიან საბჭოთა კავშირის მარშლები: ა. მ. ვასილევსკი, ლ. ა. გოვოროვი, კ. ა. მერეცკოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ა. პარფენოვი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, არტილერიის მარშალი ნ. დ. იაკოვლევი, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვორობიოვი, გენერლები ს. მ. შტემენკო, გ. კ. მალანდინი, ს. ს. შატილოვი, ნ. ი. ბირიუკოვი, მ. დ. სოლომატინი, დ. დ. ლელიუშენკო, ი. ტ. კოროვნიკოვი, ვ. ი. ვინოგრადოვი.

დგება გამოთხოვების წუთი.. კუბოსთან რჩებიან მიცვალებულის მებრძოლი ამხანაგები, თანამებრძოლები, თანამოიარაღენი, მახლობლები და ნათესავები. სულ უფრო მალე იცვლება საპატიო სამხედრო ყარაული. ყარაულში დგებიან გვარდიელები. გაისმის სამგლოვიარო მარშის მწუხარე ჰანგები.

15 საათსა და 30 წუთზე ამხანაგებმა ი. ა. პარფენოვმა, ა. მ. ვასილევსკიმ, ლ. ა. გოვოროვმა, კ. ა. მერეცკოვმა, კ. ა. ვერშინინმა, ს. მ. შტემენკომ, ს. ს. შატილოვმა, ნ. მ. კულაკოვმა, ს. ფ. გალაჯევმა, პ. ა. ბელოვმა და სხვებმა ფრთხილად აწიეს კუბო და გასასვლელისაკენ გაემართნენ.

ხალხით გაჭედილი უზარმაზარი მოედანი სამგლოვიარო პროცესიის ღრმა დუმილით შეხვდა. საპატიო ესკორტის გვერდით, რომელსაც შავით შემოვლებული დროშები უკავია, დგანან დედაქალაქის მშრომელთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები.

სამგლოვიარო კორტეჟი ნელა მიემართება სადოვაიას რგოლით სამოტეჩნის მოედნისაკენ, პიროგოვის დიდი ქუჩით ნოვოდევიჩის სასაფლაოსაკენ. აქ კუბოს განსვენებულ მარშალ პ. ს. რიბალკოს ნეშტით ხვდება საპატიო სამხედრო ყარაული. ომის ვეტერანებს ძველისძველი ციხის ჭიშკარში შეაქვთ კუბო და სდგამენ დაბალ პოსტამენტზე ახლადგაჭრილ საფლავთან.

სამგლოვიარო მიტინგზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს სახელით სიტყვას ამბობს გენერალ-ლეიტენანტი ს. ს. შატილოვი.

— დღეს ჩვენ ვასაფლავებთ საბჭოთა არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ სარდალს, დიდი სამამულო ომის გმირს, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალს პავლე სიმონის-ძე რიბალკოს. მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება მან მოახმარა საბჭოთა ხალხის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის სამსახურს.

ამხ. რიბალკო აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო ომში. დიდ სამამულო ომში მან თავი ისახელა, როგორც სტალინური სკოლის ნიჭიერმა სარდალმა. სატანკო ჯარებმა, რომლებსაც წარსული ბრძოლების დღეებში ამხ. რიბალკო სარდლობდა, უკვდავი დიდება მოიხვეჭეს. მათ ვოლგიდან გაიარეს ოდერამდე, ბერლინსა და პრაღამდე. უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა 20-ჯერ გამოუცხადა მათ მადლობა.

ამხანაგ რიბალკოს, როგორც საბჭოთა არმიის გამოჩენილი სარდლის, მტკიცე და სამშობლოს ერთგული ბოლშევიკის ხსოვნას საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები არასოდეს არ დაივიწყებენ.

საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სახელით სიტყვას ამბობს ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი დ. დ. ლელიუშენკო. იგი ლაპარაკობს სახელგანთქმული მარშლის საბრძოლო გმირობაზე, მისი სატანკო ჯარების სწრაფ მანევრებსა და მოწინააღმდეგისათვის მიყენებულ დარტყმებზე.

განსვენებულის მებრძოლი მეგობრებისა და თანამებრძოლების სახელით გამოდის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ი. ი. იაკუბოვსკი.

საავტომობილო მრეწველობისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშების, ინჟინრებისა და მოსამსახურეების სახელით უკანასკნელ გამოსათხოვარ სიტყვას ამბობს სოციალისტური შრომის გმირი ი. ე. მაქსარევი.

...ორკესტრი სამგლოვიარო მარშს ასრულებს. კუბო მარშალ პ. ს. რიბალკოს ნეშტით ნელა ეშვება საფლავში. სამგზის ჭექს ქვემეხთა სალუტი — უკანასკნელი სამხედრო პატივი გამოჩენილი სტალინური სარდლისათვის, რომლის მთელი სახელოვანი სიცოცხლე მიეძღვნა ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, დიდი სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეს. გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. საფლავზე იქმნება მრავალი გვირგვინისა და ცოცხალი ყვავილების უზარმაზარი ბორცვი. მარმარილოს დაფაზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია:

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სარდალი

ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი

რიბალკო

პავლე სიმონის-ძე

18 4/XI 94 — 19 28/VIII 48 წ.

საფლავი შემკულია უზარმაზარი გვირგვინით. სამგლოვიარო ლენტზე არის წარწერა: „ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო შვილს პავლე სიმონის-ძე რიბალკოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან".

(საქდესი).

მევენახეობის ახალი აღმავლობისათვის

მევენახეობამ ჩვენს რაიონში ნამდვილ აღორძინებას და განვითარებას მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად მიაღწია. ყოველწლიურად დიდდება ვენახის ფართობი. მარტო წელს გაშენდა 47 ჰექტარი ვენახი. იზრდება ყურძნის მოსავლიანობა. ამჟამად რაიონში 1.041 ჰექტარი დაბლარი ვენახი გვაქვს, ხოლო მაღლარ ვენახს 85 ჰექტარი უჭირავს. გავრცელებულია ისეთი მაღალხარისხოვანი ყურძნის ჯიშები, როგორიცაა ოჯალეში, ცოლიკაური და ალექსანდროული. საკმაოდ დიდ ფართობზე გაშენებული გვაქვს ვაზის ძვირფასი ჯიში ე. წ. „უსახელოური", იგი არაჩვეულებრივი არომატის შემცველ სამკურნალო ღვინოს იძლევა.

ვენახი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის წყაროდ გადაიქცა. საკმარისია ითქვას, რომ 1946-1947 წლებში რაიონის კოლმეურნეებმა მარტო სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ყურძნის საფასურად ორ მილიონ ნახევარ მანეთზე მეტი მიიღეს. ყურძნის განსაკუთრებით კარგი მოსავალი მივიღეთ შარშან ირხვის, ლეპანის, ჩხუტელის, ლასურიაშის, ცაგერის, ზედა ლაჯანის, მახაშის, ორბელის, ზუბისა და სხვა კოლმეურნეობებში. ცალკეულმა კოლმეურნეებმა თ. ქვარიანმა, ბ. ჩაკვეტაძემ, გ. ასათიანმა, ი. გაბირაშვილმა, შუშანა კენჭაძემ, თ. ფრუიძემ და პ. ბენიძემ თავიანთ სტახანოვურ ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე 70-106 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს.

წელს ჩვენმა კოლმეურნეებმა ვენახების მოვლა-პატრონობისა და მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებანი. კოლმეურნეებმა დიდ სტალინს პირობა მისცეს, რომ 600 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 50 ცენტნერ ყურძენს. სოფელ ორხვის კოლმეურნეობა „განთიადის" მევენახეობის ბრიგადირმა გ. ასათიანმა პირობა დასდო 6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 90 ცენტნერი ყურძენი; ბერიას სახელობის კოლმეურნეობის გ. ბურჯალიანის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს. ტვიშის კოლმეურნეობა „წინსვლის" ა. ნემსიწვერიძის ბრიგადის ვალდებულებაა 80 ცენტნერი ყურძენი მიიღოს 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე. სოფელ ზუბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბ. ბენიძის ბრიგადა იბრძვის იმისათვის, რომ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი მიიღოს.

მევენახეობის დარგში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური და საავიტაციო-მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. კოლმეურნეობებში საერთო კრებებზე განხილულ და განმარტებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ". ეს ბრძანებულება განხილულია აგრეთვე პარტიული აქტივის რაიონულ კრებაზე. აქტივის მიერ დასახული ღონისძიებანი ყველა საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის ღია კრებამ განიხილა.

ამჟამად ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს არა აქვთ იმაზე უფრო საპატიო საზრუნავი, ვიდრე მევენახეობის დარგში დიდი სტალინისადმი მიცემული პირობის განაღდება. ამიტომ მთელი ჩვენი ღონისძიებანი მიმართულია ვენახის სამუშაოთა საუკეთესოდ ჩატარებისაკენ. სისტემატურად ვამოწმებდით კოლმეურნეობებში ვენახების მოვლა-პატრონობის მდგომარეობას. რაიკომის ბიუროს სხდომაზე ხშირად ვიხილავდით ვენახების დამუშავების მიმდინარეობის საკითხებს, ვსახავდით ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მთელმა რიგმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური და საავიტაციო მუშაობა, ეხმარებიან კოლმეურნეობების გამგეობებს, მევენახეობის ბრიგადებსა და რგოლებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, სოფელ ლასურიაშის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია დაეხმარა გამგეობას მევენახეთა ბრიგადის განმტკიცებაში. აქ ბრიგადის შემადგენლობა გაიზარდა 12 კაციდან 24 კაცამდე. ბრიგადაში განმტკიცდა პარტიული ბირთვი. ნაცვლად ერთი კომუნისტისა, ახლა ბრიგადაში 4 კომუნისტი მუშაობს. ისინი პირადი მაგალითით რაზმავენ უპარტიო კოლმეურნეებს მიმდინარე სამუშაოთა წარმატებით შესასრულებლად. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობის ვენახი საუკეთესოდ მოვლილია. სოფელ ქვედა ორბელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ვენახის სამუშაოები ჩამორჩენილი იყო. ბორდოს სითხით პირველი წამლობა აგროვადებში არ ჩატარებულა. ვენახების გათოხნა და მწვანე ოპერაციების ჩატარება ჭიანურდებოდა. კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. შ. ბურჯალიანი) შეისწავლა ეს საკითხი. გამოირკვა, რომ ჩამორჩენა გამოწვეული იყო შრომის მოუწესრიგებლობით. დაბალი იყო შრომის დისციპლინა, დაკომპლექტებული არ იყო მევენახეობის რგოლები და ბრიგადები, ადგილი ჰქონდა გაუპიროვნებას. ყველა ეს საკითხი მწვავედ დაისვა გამგეობის წინაშე. სასწრაფოდ შედგენილ და დაკომპლექტებულ იქნა მევენახეთა ბრიგადა, რომელსაც მიუჩინეს ვენახის ფართობი, ინვენტარი და მოწყობილობა; ბრიგადის წევრებთან ჩატარდა საუბრები ვენახის სამუშაოთა ჩამორჩენის მიზეზისა და ამ ჩამორჩენის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ. პარტორგანიზაციის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ორბელის კოლმეურნეობის ვენახები ამჟამად საუკეთესოდ მოვლილია. ასევე კარგად უვლის ვენახებს სოფელ ორხვის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ქვარიანი და საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ს. გაბიძაშვილი ყოველდღიურად ამოწმებენ ვენახებში შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს, დაუყოვნებლივ იღებენ ზომებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ყურძნის უხვი მოსავლისათვის. საავიტაციო მუშაობა ხელს უწყობს მაღალი მოსავლისათვის მევენახეთა დარაზმვას. ორასზე მეტი აგიტატორი ესაუბრება ყოველდღიურად რაიონში მევენახე კოლმეურნეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ბევრი მათგანი პირადი მაგალითითაც აღაფრთოვანებს კოლმეურნეებს შრომაში. სოფელ ზუბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველი რგოლის ხელმძღვანელი ამხ. ია ბენიძე ამავე დროს რგოლის აგიტატორიცაა. მას აღებული აქვს ვალდებულება — 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი ყურძენი. ამხ. ბენიძე საუკეთესო აგიტატორია. იგი შრომის პირად მაგალითსაც უჩვენებს სხვებს. რგოლისათვის მიჩენილი ვენახი საუცხოოდ არის მოვლილი.

ბელადისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ ა. ნემსიწვერიძის, პ. ბენიძის, პ. სილაგაძის, ვ. მეშველიანის ბრიგადები. ამ ბრიგადებმა ვენახის ყველა სამუშაო დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს. მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ პირნათლად შეასრულონ თავიანთი სიტყვა.

მოწინავე კოლმეურნეობები, ბრიგადები და რგოლები გაცხოველებით ემზადებიან რთველისათვის. ზემო ცაგერის, ლაცორის, ზემო ლაჯანის, ორხვის, ზუბისა და ლასურიაშის კოლმეურნეობები აგებენ ახალ ძარნებს, არემონტებენ ძველს, იმარაგებენ ტარამასალებს, წესრიგზე მოჰყავთ ურმები და სხვ.

ყველა კოლმეურნეობა ერთნაირი მონდომებით როდი იბრძვის მევენახეობის აღმავლობისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ამ საქმეში უდარდელობას იჩენენ სოფელ წიფერჩის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ფუტკარაძე, საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ხაბულიანი). ამ კოლმეურნეობის გამგეობას და პარტორგანიზაციას წელს არ განუხილავთ ვენახის სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხები. ამიტომ დაგვიანდა წამლობა. სრულიად არ ჩატარებულა გოგირდის მესამე შეფრქვევა, ვენახების მესამე გათოხნა და სხვა სამუშაოები. ჩამორჩენა აქვთ ისუნდრის, შუა ღვის, სანორჩის, ზედა ღვირიშისა და ქვედა ღვირიშის კოლმეურნეობებს. ეს აიხსნება მევენახეობის ბრიგადებისა და რგოლების მუშაობისადმი ამ კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პარტორგანიზაციების მდივნების სუსტი ხელმძღვანელობით.

ჩვენი კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან ვენახის შესაწამლი აპარატებით. არა გვაქვს ყურძნის საწური მანქანები, რომლებიც შეამსუბუქებენ ხელით შრომას და გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ამაში მეტი დახმარება უნდა გაგვიწიონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები გამოასწორებენ არსებულ ნაკლოვანებებს, ყველაფერს გააკეთებენ მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის, დიდი სტალინისადმი მიცემული სიტყვის გასანაღდებლად.

რ. მურცხვალაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომის მდივანი.

იაპონიისათვის შექმნილ სამოკავშირეო საბჭოში

ტოკიო, 30 აგვისტო. (საკდესი). 28 აგვისტოს საბჭოთა წარმომადგენლის გენერალ-მაიორ კისლენკოს მოთხოვნით შესდგა იაპონიისათვის შექმნილი სამოკავშირეო საბჭოს სპეციალური სხდომა. განხილულ იქნა საბჭოთა წარმომადგენლის მიერ დაყენებული საკითხი სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების გაფიცვებისა და მათ მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების აკრძალვის თაობაზე გენერალ მაკარტურის 22 ივლისის წერილისა და იაპონიის მთავრობის 31 ივლისის ბრძანებულების შესახებ.

ამ საკითხზე გამოვიდა გენერალი კისლენკო, რომელმაც განაცხადა:

„პოტსდამის 1945 წლის 26 ივლისის დეკლარაცია და შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკური გადაწყვეტილება — „ძირითადი პოლიტიკა იაპონიის მიმართ კაპიტულაციის შემდეგ" ითვალისწინებენ, რომ იაპონიაში უნდა აღმოიფხვრას ყველა დაბრკოლება იაპონელ ხალხში დემოკრატიული ტენდენციების აღორძინებისა და განმტკიცებისადმი და რომ იაპონელ ხალხს წაახალისებენ დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების შექმნაში.

შორეული აღმოსავლეთის კომისიის მეორე პოლიტიკური გადაწყვეტილება „იაპონიის პროფესიული კავშირების ორგანიზაციის პრინციპების" შესახებ სპეციალურად აღნიშნავს იაპონიის პროფკავშირების უფლებას მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საქმიანობაში, იაპონიის დემოკრატიზაციაში და იაპონელი მუშების ცხოვრებისა და შრომის პირობების უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად მიმართულ საქმიანობაში, აგრეთვე იმას, რომ იაპონელ

[...]

არის აღნიშნული, რომ „იაპონელი მუშები წახალისებულ უნდა იქნან პროფკავშირების შესაქმნელად იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ და გაუმჯობესებულ იქნას შრომის პირობები ამის მისაღწევად შრომითი მოლაპარაკებაში მონაწილეობის გზით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ პროფკავშირებს რაიმე სხვა გზით გაეწიოთ დახმარება მუშათა კანონიერი პროფკავშირული ინტერესების განხორციელებაში, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული იაპონიის შექმნაში ორგანიზებული მონაწილეობითაც". ზემოხსენებული მოთხოვნა ეწინააღმდეგება ამავე დოკუმენტის მე-4 პუნქტს, რომელშიც ნათქვამია, რომ „პროფკავშირები წახალისებულ უნდა იქნან მეწარმეებთან თავიანთი წევრების სახელით შრომის ანაზღაურებისა და პირობების შესახებ მოლაპარაკებათა საწარმოებლად".

გენერალ მაკარტურის ხსენებული წერილის შესაბამისად იაპონიის მთავრობამ 31 ივლისს გამოსცა სპეციალური ბრძანებულება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და გაფიცვების აკრძალვის შესახებ. ამავე ბრძანებულებით გაუქმდა წინათ დადებული ყველა კოლექტიური ხელშეკრულება.

ამ ბრძანებულების ძალაში შესვლისთანავე

[...]

იაპონიის მთავრობამ და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა გაჩაღეს სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების ფართო კამპანია.

7 აგვისტოს კაბინეტის გენერალური მდივანი ტომაბეცი გაფიცვებში მონაწილეობისათვის სასტიკ სასჯელს დაემუქრა სახელმწიფო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს. ამავე დღეს იაპონიის პოლიციამ დააპატიმრა მთავრობის რკინიგზების 9 მუშა ქალაქ მაცუიამაში. ამასთან 100-მდე შეიარაღებული პოლიციელი თავს დაესხა მუშათა საერთო საცხოვრებელს, სადაც მუშები გაფიცვის გამოცხადების შემდეგ შეიკრიბნენ.

8 აგვისტოს გენერალურმა პროკურორმა ყველა ადგილობრივ პროკურორს უბრძანა — დააპატიმრონ და დასაჯონ სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ გაფიცვებში.

17 აგვისტოს კუნძულ ჰოკაიდოს საპოლიციო ხელისუფლებმა გაფიცვაში მონაწილეობისათვის სახელმწიფო რკინიგზების 341 მუშის დაპატიმრების ორდერები გასცეს და ამავე დღეს ნიაში, ფურანოში, ოივაკეში, ტომაკომაისა და საგიხეცუში დაპატიმრებულ იქნა სახელმწიფო რკინიგზების 94 მუშაკი, ხოლო 18 აგვისტოს 128 მუშა დააპატიმრეს კუსიროს რაიონში.

20 აგვისტოს ტრანსპორტის მინისტრმა ოკადამ გაფიცულ მუშებს ულტიმატუმი წარუდგინა — შესდგომოდნენ მუშაობას არაუგვიანეს 21 აგვისტოს საღამოს 6 საათისა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა, რომ სასტიკ რეპრესიულ ზომებს მიიღებდა მათ მიმართ.

იმავე დღეს ანალოგიური მუქარით გამოვიდა იაპონიის პოლიციის უფროსი საიტო. მან განაცხადა, რომ მომავალში პოლიცია დააპატიმრებს არა მარტო გაფიცვების ეგრეთ წოდებულ ინციატორებს, არამედ მასობრივად დააპატიმრებს უკლებლივ ყველა გაფიცულ მუშას.

ამის შედეგად 21 აგვისტოსათვის მარტო სახელმწიფო რკინიგზების მუშაკთა დასაპატიმ-

[...]

მისათვის კოლექტიური ხელშეკრულების დადებისა და გაფიცვის მოწყობის აკრძალვა თითქოს არ ეწინააღმდეგება შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკას.

ამის პასუხად ამხ. კისლენკომ აღნიშნა, რომ შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებაში მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის უფლების შესახებ არ მოიპოვება რაიმე მითითება, თითქოს ეს უფლება არ ვრცელდებოდეს სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზე, ამიტომ საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მუშა-მოსამსახურეთა რომელიმე კატეგორიის უფლებათა თვითნებური შელახვა ამ გადაწყვეტილებათა დარღვევას ნიშნავს.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა შოუმ განაცხადა, რომ დასაშვებია მთავრობის მოსამსახურეთა გაფიცვები აიკრძალოს განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ეს გაფიცვები საფრთხეს უქმნიან ოკუპაციის ამოცანებსო. მაგრამ შოუმ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ მუშა-მოსამსახურეებს კოლექტიური ხელშეკრულების დადება აეკრძალოთ, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ეთანხმება სებოლდს, თითქოს შორეული აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილება პროფკავშირების შესახებ მთავრობის მოსამსახურეებს არ ეხებოდეს.

[...]

ჩინეთის წარმომადგენელმა საბჭოში გენერალმა შანმა მხარი დაუჭირა მაკარტურის და იაპონიის მთავრობის ღონისძიებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის კანონის გადასინჯვის თაობაზე, თუმცა გამოსთქვა რამდენიმე ზოგადი სურვილი სახელმწიფო მოსამსახურეთა ინტერესების დაცვის შესახებ.

იაპონიის კომპარტიის განცხადება

ტოკიო, 30 აგვისტო. (საკდესი). იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ანტიკომუნისტური კანონმდებლობა, რომელიც ამ დღეებში პრემიერ-მინისტრმა ასიდამ გამოაცხადა, კონსტიტუციის მომსპობი აქტი იქნება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ დროს ახლანდელი კაბინეტის მიერ მიღებული, მთელი რიგი ფაშისტური ღონისძიებანი პოტსდამის დეკლარაციის დარღვევას წარმოადგენენ. პოლიციისა და პროკურატურის მიერ ხალხის ჩაგვრა აშკარად ნიშნავს იაპონიაში მილიტარიზმის აღორძინებას. კომპარტია აცხადებს, რომ იაპონიის მმართველ წრეებს არა აქვთ ჩვენი ქვეყნის მართვის უნარი, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანონობა და ჩაგვრა ერთადერთი გამოსავალია მათთვის, რაც ხალხის მდგომარეობის გაუარესებას, მილიტარიზმსა და ომს იწვევს.

დასასრულ განცხადებაში ნათქვამია, რომ კომუნისტური პარტია ხალხის ავანგარდშია სახალხო დემოკრატიული ფრონტისათვის ბრძოლაში.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ტოკიო, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „აკაჰატა" იუწყება, 24 აგვისტოს შესდგა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმი. პლენუმმა მოისმინა კომპარტიის გენერალური მდივნის ტოკუდას მოხსენება.

პლენუმმა დაამტკიცა პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი ოთხი წინადადება: „მთელი

[...]

... ბის საკითხზე" და „გადაწყვეტილება პარტიის დაცვის შესახებ".

ასიდას კაბინეტი თავისი ამერიკელი ბატონ-პატრონების მაგალითს ჰბაძავს

ტოკიო, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ასახი" იუწყება, იაპონიის მთავრობა ამჟამად სამ გეგმას განიხილავს. პირველი გეგმა ითვალისწინებს შემოღებულ იქნას კანონი „იაპონიის რეკონსტრუქციის დაბრკოლებათა მოსპობის" შესახებ, რომლის შესაბამისადაც „ის პირები, ვინც ხელს უშლის ეკონომიურ სტაბილიზაციას, თავიდან მოშორებულ უნდა იქნან". მეორე გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის კანონის 97-ე მუხლში შეტანილ იქნას დამატება, რომელიც ითვალისწინებს „სახელმწი-

[...]

სპეციალური „ისეთი პოლიტიკური საქმიანობის გამომკვლევი კომისია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს იაპონიის რეკონსტრუქციას". ეს კომისია შეიქმნება ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის ნიმუშის მიხედვით.

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის კომუნიკე

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბატავიიდან გადმოგვცემს, ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც ჰგმობს ჰოლანდიის გადაწყვეტილებას ბატავიიდან რესპუბლიკის წარმომადგენელთა გასახლების შესახებ. ჰოლანდია,—ნათქვამია კომუნიკეში,—უხეშად არღვევს თავის დაპირებას—ბატავიაში სცნოს ინდონეზიის რესპუბლიკის უფლებანი.

არაბთა ლიდერების კრება კაიროში

[...]

კულტურის მოღვაწეთა მანიფესტი მშვიდობის დასაცავად

ჩვენ, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, 45 ქვეყნიდან პოლონეთის ქალაქ ვროცლავში შეკრებილნი, მივმართავთ მსოფლიოს ინტელიგენციას.

ჩვენ მას მოვაგონებთ მომაკვდინებელ საფრთხეს, რომელიც ახლახან ემუქრებოდა კაცობრიობის კულტურას. ჩვენ ვუყვავთ მოწმენი ფაშისტური ბარბაროსობის — ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსპობის, გონებრივი შრომის ადამიანთა დევნისა და დაღუპვის, მთელი სულიერი განძის სრული გათელვისა, რამაც საფრთხე შეუქმნა თვით სინდისის, გონებისა და პროგრესის ცნებებს.

კაცობრიობის კულტურა გადაარჩინა ყველა დემოკრატიულ ძალთა—საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხების უდიდესმა დაძაბვამ. სახალხო წინააღმდეგობის გმირულმა ბრძოლამ ფაშიზმის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში, იგი გადარჩენილ იქნა უმაგალითო მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად.

მაგრამ, ყველა ქვეყნის ხალხთა ნებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ, ანგარებისმოყვარე ერთი მუჭა ადამიანები ამერიკასა და ევროპაში, რომლებმაც ფაშიზმისაგან მემკვიდრეობად მიიღეს რასობრივი უპირატესობის იდეა და პროგრესის უარყოფის იდეები, რომლებმაც შეითვისეს მისი მისწრაფება—ყველა საკითხი იარაღის ძალით გადაჭრან,—კვლავ ხელჰყოფენ მსოფლიოს ხალხთა სულიერ მიღწევებს.

ევროპის ქვეყნების კულტურას, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის მსოფლიო საგანძურში, ეროვნული სახის დაკარგვის საფრთხე მოელის.

[...]

ადამიანთა ხელში ხმარდება არა განათლებას, არა ხალხთა დაახლოებას, არამედ კაცთმოძულეობის მდაბალი გრძნობების გაღვივებას, ომის მომზადებას.

მტკიცედ გვწამს რა პროგრესული კულტურის თავისუფალი განვითარება და მიღწევათა გავრცელება, მშვიდობის, პროგრესისა და კაცობრიობის მომავლის სახელით პროტესტს ვაცხადებთ ამ თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საჭიროა კულტურებსა და ხალხებს შორის ურთიერთგაგება მთელი მსოფლიოს ცივილიზაციის ინტერესებისათვის.

გვესმის რა, რომ თანამედროვე მეცნიერებამ გაათავისუფლა დიდი ახალი ძალები, რომლებიც კაცობრიობის მიერ აუცილებლად იქნება გამოყენებული ან მის საკეთილდღეოდ, ანდა საზარალოდ,—კონგრესი პროტესტს აცხადებს ნგრევის მიზნებისათვის მეცნიერების გამოყენების წინააღმდეგ და მოუწოდებს—ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ ცოდნა ფართოდ გავრცელდეს მთელ მსოფლიოში და მეცნიერება გამოყენებულ იქნას სიღარიბის, უმეცრების, ავადმყოფობისა და გაჭირვების უსწრაფესად შემცირებისათვის, რომელთაგანაც იტანჯება კაცობრიობის უმრავლესობა, აგრეთვე ხელი შევუწყოთ შეზღუდვათა შესუსტებას იმ მოღვაწეთა თავისუფალი მიმოსვლის დარგში, რომლებიც ემსახურებიან მშვიდობისა და პროგრესის საქმეს, აგრეთვე წიგნების, მეცნიერული მუშაობის შედეგების, ყველა მეცნიერული და კულტურული მიღწევის თავისუფალი გამოქვეყნებისა და გავრცელების დარგში, რომლებიც იმავე მიზნებს ემსახურებიან.

[...]

არა მარტო ინარჩუნებენ, არამედ კვლავაც ჰქმნიან ფაშიზმის კერებს.

გონიერებისა და სინდისის საწინააღმდეგოდ გრძელდება და კიდეც ძლიერდება ადამიანის პიროვნებისა და მთელი იმ ხალხების ჩაგვრა, რომელთაც მჩაგვრელები ფერადკანიანებს უწოდებენ.

ის ადამიანები თავიანთ ქვეყნებში, რომელთაც ფაშიზმის მეთოდები გადაიღეს, ახორციელებენ რასობრივ დისკრიმინაციას, სდევნიან მეცნიერებისა და ხელოვნების მოწინავე მოღვაწეებს.

მეცნიერულ აღმოჩენებს, რომელთაც შეუძლიათ სამსახური გაუწიონ კაცობრიობის კეთილდღეობას, იყენებენ მოსპობის საშუალებათა ფარული წარმოებისათვის, რითაც იბლალება და მახინჯდება მეცნიერების დიდი დანიშნულება. ადამიანის სიტყვა, ხელოვნება ამ

[...]

ჩვენი წინადადებანი, ყველა ქვეყანაში ჩაატარონ მშვიდობის დასაცავად კულტურის მოღვაწეთა ეროვნული კონგრესები, ყველგან შექმნან ეროვნული კომიტეტები მშვიდობის დასაცავად, განამტკიცონ ყველა ქვეყნის კულტურის მოღვაწეთა საერთაშორისო კავშირი მშვიდობის ინტერესებისათვის.

ბერძნების პროვოკაციები ალბანეთის საზღვარზე

[...]

დებული პროვოკაციების შესახებ, რაც ჩადენილ იქნა ამა წლის 13-დან 25 აგვისტომდე ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში. ამ პროვოკაციების რიცხვი და ხასიათი, ნათქვამია ცნობაში, ცხადჰყოფს ათენის მთავრობის აგრესიულ გეგმებს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. ამ გეგმებს, რომლებსაც მხარს უჭერენ ამერიკელები და ინგლისელები, მივყავართ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დარღვევისაკენ.

ინფორმაციის დირექცია იუწყება შემდეგ ფაქტებს: 13 აგვისტოს სამი ბერძენი ჯარისკაცი შეიჭრა ალბანეთის ტერიტორიაზე № 10 სასაზღვრო ნიშანთან ლესკოვიკის უბანზე. ბერძენი ჯარისკაცები ალბანელმა მესაზღვრეებმა დააკავეს.

14 აგვისტოს იმავე რაიონში საზღვარი გადალახა ბერძენმა ჯარისკაცმა, რომელიც აგრეთვე დააკავეს.

16 აგვისტოს ორი ბერძენი ჯარისკაცი გადავიდა ალბანეთის ტერიტორიაზე № 6 სასაზღვრო პუნქტთან კოლონის უბანზე. ალბანელმა მესაზღვრეებმა მოსთხოვეს ბერძენ ჯარისკა-

[...]

იმავე დღეს ბერძენმა ჯარისკაცებმა ნაღმსატყორცნები დაუშინეს ალბანეთის ტერიტორიას. ნაღმები დაეცა საზღვრიდან 200 მეტრზე ალბანეთის ტერიტორიაზე პუნქტ კოდოხოვის ახლოს (ბილიშტის უბანი).

ბერძენმა ჯარისკაცებმა რამდენჯერმე ესროლეს აგრეთვე ალბანეთის ტერიტორიას № 6 და № 7 სასაზღვრო ნიშნებს შუა

[...]

ა. ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავისათვის

„მოძღვარი" მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრი დიდი ქართველი კლასიკოსის ალ. ყაზბეგის საიუბილეო დღეებში მაყურებელს უჩვენებს ალ. ყაზბეგის ცნობილი მოთხრობა „მოძღვარის" მიხედვით გაკეთებულ პიესას.

„მოძღვარი" დასადგმელად მოამზადა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ტაბლიაშვილმა.

მთავარ როლებს შეასრულებენ სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტები შ. ღამბაშიძე, პ. კობახიძე, ვ. გოძიაშვილი და სხვ.

პრემიერა წარმოდგენილი იქნება ალ. ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ დღეს—25 სექტემბერს.

რუსთაველის სახელობის თეატრი 1948-49 წლის სეზონში

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1948-49 წლის თეატრალურ სეზონს ხსნის 4 სექტემბერს ალ. ყაზბეგის ცნობილი პიესით „ქეთევან დედოფალი".

მიმდინარე სეზონში თეატრის კოლექტივი მაყურებელს პირველ პრემიერად უჩვენებს

[...]

ჩვენს დედაქალაქში

⊙ 1 სექტემბერს თეატრალურ სეზონს იწყებს თბილისის თოჯინების ქართული თეატრი. წელს თეატრი მუშაობას განაახლებს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა კლუბის ყოფილ შენობაში, რომელსაც კაპიტალური რემონტი გაუკეთდა.

1948-49 სეზონის რეპერტუარშია გ. ნ...დაძის პიესა „ლომწა დარუბანი", შედინოვას—„თოვლის პაპა", დ. ჯალალანიას—„ფისუნია მამლაყინწა, კურდღელი და მელაკუდა", ...დევანიშვილის „სინათლე", დ. ჯალალანიას და მ. გოგიაშვილის „ჭიჩორა", გ. ჩიქოვანის „...ქოსატყუილა".

⊙ სტუდენტთა ქალაქის ხელმძღვანელობამ წელს სტუდენტთა საცხოვრებელ კორპუსებში გაიყვანა რადიო. 12 საცხოვრებელ კორპუსში

[...]

ახალი წიგნები

[...]

მდგომარეობა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ვარის დეპარტამენტში სოციალისტური პარტიის ერთ-ერთმა სექციამ, რომელშიც 60 კაცი შედის, განაცხადა სოციალისტური პარტიიდან თავისი კოლექტიური გამოსვლის შესახებ. სექციის წევრები თავიანთ წერილში ჰგმობენ პოლიტიკას, რომელსაც სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები და სოციალისტი დეპუტატები ახორციელებენ და რომელმაც გამოიწვია თანამშრომლობა პოლ რეინოსთან—„იმ კაცთან, ვინც ხელისუფლება პეტენს გადასცა".

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 30 აგვისტო (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, პოლ რამადიემ (სოციალისტური პარტია) რესპუბლიკის პრეზიდენტს ვენსან ორიოლს აცნობა: უარს ვამბობ მთავრობის ჩამოყალიბებაზეო.

პრეზიდენტმა მთავრობის ჩამოყალიბება მიანდო „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" წევრს რობერ შუმანს. შუმანი დასთანხმდა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაზე.

[...]

საჭიროა შემდეგი საბუთები: არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ (მომუშავეთათვის), სამი ფოტოსურათი. განცხადებები მიიღება: თბილისი, ფალიაშვილის ქ. № 30 (ვაჟთა მე-10 საშუალო სკოლის შენობაში) საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე (გარდა შაბათისა), ხოლო კვირაობით დილის 9-დან დღის 3 საათამდე.

[...]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებების: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მიღებისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის № 28. ტირაჟი 110,000